

თბილისის არეულშრეებრივი კონგლომერატები

გვანცა ჭანუყვაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე დედამიწის
შემსწავლელი მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ მაღალაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი:

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ჭანუყვაძე

13.01.2023

აბსტრაქტი

თბილისის მიდამოებში და მის შემოგარენში მრავალი საინტერესო გეოლოგიური ფენომენია, მათ შორისაა ე.წ. "თბილისის ოლისტოსტრომები", რომელიც აგრეთვე "არეულშრეებრივი კონგლომერატების" სახელითაა ცნობილი. ამ წარმონაქმნების გენეზის მრავალი კვლევა მიემდგნა და მათ შესახებ რამდენიმე შეხედულება არსებობს. თბილისში არეულშრეებრივი კონგლომერატები გვხვდება მრავალ ადგილას, ასეთებს წარმოადგენს: მირზა-შაფის ქუჩის, ახანოთუბნის და მეტეხის და სხვა გამიშვლებები, რომელთა ლითოლოგიური და სტრუქტურული მრავალფეროვნება ნათლადაა წარმოდგენილი ამ ჭრილებში. ასევე კარგად ვლინდება წყების ჩამოყალიბების დროინდელი სედიმენტაციური და ტექტონიკური პროცესები. აღნიშნულ გამიშვლებებში გამოირჩევა ორი ფაციესი: ქვედა – შრეებრივი ვულკანოგენ-დანალექი და ნორმულ-დანალექი, და ზედა – ოლისტოსტრომები. თბილისის მიდამოებში არსებული არეულშრეებრივი კონგლომერატები აგებულია ერთის მხრივ ტუფ-ბრექჩიებით და ლოდ-ბრექჩიებით, ხოლო მეორეს მხრივ ოლისტოპლაკებით, რომელთა ზომები ასეულ და ათას კუბურ მეტრს აღწევს. ნაშრომში ასევე განხილულია გეოლოგიურ კატასტროფულ მოვლენებთან დაკავშირებული წარმონაქმნები (მოვლენათა ნალექები) და ნორმულ-დანალექი ქანები. მოვლენათა ნალექები (ოლისტოსტრომები, ველური ფლიში) თავისი ტექსტურული, სტრუქტურული, გენეტიკური ნიშნებით და უშუალო კავშირით კატასტროფულ მოვლენებთან, მკვეთრად განსხვავდება ნორმულ-დანალექი ქანებისგან და ამიტომ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ჯგუფად.

ნაშრომში გამოყენებულია საკვლევი ტერიტორიის ფოტომასალა, თბილისის გეოლოგიური რუკა და სხვ. ხოლო სტრუქტურა მოიცავს შესავალს, ოთხ თავს, დასკვნასა და გამოყენებული წყაროების ჩამონათვალს.